წელიწადი I-ლი

კვირა 13 თებერვალი

ფასი 30 შაბ.

ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 800 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 50 მან.

4 „ „ „ . . . . 45 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 33 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 33

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებული ვამბა დომინტი, შვილები ალექსანდრე და თამარი ივანიძენი და მამიდაშვილი ალექსანდრე დუმბაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ახლანაგებს, რომ კვირას 13 თებერვალს ბათომს ახალ სობორში (ყოფილი სამხედრო) გადახდილი იქნება ჟღრიობით დაკარგულ მე-5 კლ. მოსწავლის.

ნინოს

წლის თავი და, ოთხი წლის თავი

ელენესი

პანაშვიდი 12.

ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების სიყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

ჯგუფი ა . . .	1 კ-ს—135 მან.	ვოლ-მოტ—1 ცს. ძ	14 000 მან.
„ ბ . . .	„ — 180 მან.	„ „ 1—5 თითო . .	12 600 მან.
		5 . . . 15 თითოულზე	11.000 მან.
ბინებში 1 ოთახ.	—50 სანთლამდე	—1350 მ. სავაჭრ. დაწ	უცრიცხვ.
2 „	—100 „	—2460 მ. 1ლ.-32 სანთლ.	—1680 მ.
3 „	—150 „	—3300 მ. 1— 50 „	—2010 მ
4 „	—200 „	—4200 მ. 1 100 „	—3990 მ.
5 „	—250 „	—5100 მ. 1—200 „	—7500 მ.
6 „	—300 „	—6000 მ.	

სამრეწველო ტარიფი: მრიცხველის ქირა თვ. 400 მან

000 კ.-ს-მდე —70 მ. კ-ს. პროექტორის „ „ 10000 მან.

000 „ —65 მან.

8000 „ ზევით 60 მან.

ასეთივე ნიხრია დაწესებული ბ. ფეფელოვის კრძო სადგურისათვისაც ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

სათანადო ზომების მისაღებათ.

51 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

რკინის გზის დეპოში

კვირას, 13 თებერვალს, დღის სრულ 4 საათზე მოწვეულია ს. სოც. დემ. მუშ. პარ. ბათომის ორგანიზაციის წევრთა

საერთო კრება.

დასწრება ყველა წევრთათვის ყოველივე მიზეზა გარეშე სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1) საქალაქო არჩევნები, მომხსენებელი ამხ. გ. ანჯაფარიძე.
2) პარტიული დისციპლინა „ „ კ. გიგოლაძე.
3) ინციდენტი დამფუძნებელ კრებაში, „ ა. წულეიძე
4) მიმდინარე კითხვები.

ს. ს.-დ. მ. პ. ბათომის კომიტეტის პრეზიდიუმი.

განცხადება

ნახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურების, წისქვილების, ქარხნების და ყველა ისეთი საწარმოვო და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა წარმოებს შიდა წვის ძანქანებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხელი საბრობი მასალა და ამიტომ ეხლავე უნდა მიიღონ ზომები მანქანების მაგარ საბრობ მასალებზე გადასაკეთებლათ ან გაზით გასახურებლად თუ წინააღმდეგ ამ განკარგულებისა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მეპატრონენი ამ გამგეს უარს განაცხადებენ მანქანების შეცვლა-გადაკეთებაზე, მათ საწარმოვო-სავაჭრო დარგები ჩაიკეტებიან და გადაეცემათ საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც გადეკისრებათ მანქანების გადაკეთებაც და ეკსპლოატაციაც მანქანების გადაკეთებაში აშნიშნულ პირთ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები მანქანების სხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით. ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილება.

46 ბათომის ქალაქის გამგეობა

განცხადება

1921 წ. თებერვლის 2 დღეს ქალ. ბათომი.

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა ყველა ქალაქ ბათომის ს. მისი ოლქი მცხოვრებნი დაბადებულნი 1900 წ. და ამასთან სამხედრო ვალდებულნი 1897, 1898 და 1899 წ. და ადგილნი, რომლებსაც სხვა და სხვა მიზეზის გამო, სამსახურში გაწვევის ვადა ჯერ-ჯერობით გაგრძელებული უნდა გამოცხადენ ამა წლის 6 თებერვლიდან 15 თებერვლამდე ზემოდ კომისიაში, რომელიც არის მოთავსებული ციხე სიმაგრის შტაბში სმენკალოვის ქუჩაზე სადაც იქნება მიმღები კომისიის სხდომა დილის 9 საათიდან.

მომდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა ოცდაექვსამდე მოადნიშნულს ვადების მიხედვით გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში დათ ან იქნა ნიშნოს გასაწვევ პუნქტიდან, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. სამუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოდგენენ დანიშნულ ვადაზე სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადი გადადებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში.

3. არავითარი სამსახური არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებაში, არც სახალხო გვარდიაში, და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ ევალებათ დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალ გაწვეულთ.

4. 1919 წ. 10 მაისის კანონი ერთად ერთი მარჩენალთა შესახებ ებლანდელი მოთხოვნ გაწვევის დროს მოსპობილია.

5. ხსენებული მორიგი გაწვევა არ ვრცელდება ქართველ მუსლიმანებზედ.

6. ყველა სავალდებულონი, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან ან და გამოცხადდებიან მიიღებენ პუნქტზე 15 თებერვლის შემდეგ, მიკვეთილი იქნებიან პასუხის გებაში სამსახურში მიღებით.

მთავრობის განკუთრებული რწმუნებული ვიქტორ ბაძე.

განცხადება

ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობი იჯარით გაცემაზე. სავალდებულოა შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში 8 საათიდან 3 საათამდე გოროდოკში.

ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგე. 3—3

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

დარბაზი

აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ კვირას 13 თებერვალს, დილის 11 საათზე

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ჭრელები, ტანისამოსები და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე.

გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება ოთხშაბათს 16 თებერვალს დილის 10 საათზე. დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე.

61 3—1

განცხადება

თანახმად გენერალური შტაბის უფროსის განკარგულებისა ვაცხადებ საყურადღებოთ, რომ ბათომის დროებით მცხოვრებთა რომლებიც უნდა გამოცხადდენ სხვა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსებთან ჯარში გასაწვევად შეუძლიათ გამოცხადდენ ბათომის მიმღებ კომისიაში (ციხე სიმაგრის შტაბში) მხოლოდ უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი.

ბათომის სამხედრო აღრიცხვის უფროსი, მაიორი დ. აგლაძე.

60 3—1

ბინის მეპატრონეთა დამასრსებელნი ბათომში

იწვევენ ყველას, ვინც სარგებლობს ამ საზოგადოების მიწით (სჩეკალოვის და დონდუკოვსკაიას ს.), რათა შეუერთდნენ გამგეობას ბრძოლაში არის, ესპერანტოს ბაღზე. კონტორა არის, ესპერანტოს ბაღზე. თავმჯდომარე ინჟენერი ციციშვილი. მდივანი პ. დიაკონოვი. ხაზინადარი პ. ხიმოტნაძე.

64

გათოშის 13 თებერვალი.

საბჭოთა რუსეთმა შვიდი მაისის ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა აღიარა, ჩვენ სამშობლოში სრულუფლებიანი წარმომადგენელი წარმოგზავნა და ამ რიგათ საქართველო—რუსეთის დამოკიდებულების განსაზღვრას ერთგვარი მიმართულება მიეცა.

უნდა გვეფიქრა, რომ „სოციალისტური“ რუსეთის მესვეურები შეურიგდენ ქართველი ერის მტკიცე გადაწყვეტილებას იარსებოს და მოეწყოს ისე, როგორც მას ეს საუკეთესოთ წარმოუდგენია.

საქართველოს დემოკრატიამ სიხარულით მიიღო მოსკოვში დადებული ხელშეკრულება და გულწრფელათ ფიქრობდა რუსეთთან მეგობრული კავშირი გაებმა და ნორმალური ურთიერთობა აღედგინა.

საქართველოს მთავრობის ცდა და მეცდინეობა იქით იყო მიმართული, რომ შვიდ მაისს დადებული ხელშეკრულება დაედო საფუძვლათ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის აღსადგენათ.

ცხადია, ჩვენთვის ძლიერ სასარგებლო იქნებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

რუსეთს შეეძლო მოეცა ჩვენთვის ბევრი რამ, რის ნაკლებობას ჩვენ საგრძნობლათ განვიცდით, მაგრამ რუსეთისათვის არა ნაკლებ სასარგებლო იქნებოდა ჩვენთან კეთილმეზობლური განწყობილებაში ყოფნა. საქართველოს გზით რუსეთი მოახერხებდა ფაქტიური ეკონომიური დამოკიდებულების გაბმას ევროპასთან.

მაგრამ ეს არ მოხერხდა, და ბრალი ამაში მიუძღვის არა საქართველოს, არამედ რუსეთს და მის წარმომადგენლობას საქართველოში. იმ დოკუმენტებიდან, რომ-

UR UR
ფრანგული სახსარინი
Usines du Rhône მარკა UR
კარტონის კოლოფში, წითელი წარწერით.
ეჭვს არ უკეთესია
მთელ ქვეყანაზე თავის ხარისხით, სიტკბით, და ეკონომით. ის მარტნებელი არაა და სიძვირის საშინელი მტერია, რადგან ყველასთვის ხელმისაწვდომია.
იყიდება ყველგან. სინჯეთ.
65

ებიც არა ერთხელ გამოუქვეყნებიათ ჩვენთვის ის მიზანი, რომელიც ბოლშევიკურ ხელმძღვანელებს დაუსახავთ საქართველოში. ამით სურდათ ესარგებლათ თავისი ოფიციალური მდგომარეობით და ეწარმოებინათ ისეთი მუშაობა საქართველოს შიგნით, რომ ასაფეთქებლათ. ბოლშევიკური წარმომადგენლობა იმას კი არ ცდილობდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის ნელი შეენყო, ამით შორის სავაჭრო დამოკიდებულება ორივე მხარეს სასარგებლოთ დაეწყო, არამედ მათი სურვილი საქართველოს საბჭოთა პოლიტიკის სფეროში ჩათრევა იყო.

დიდი ენერგია და ფული დახარჯეს, ბევრი ოფლი დაღვარეს, მაგრამ ანგარიშში მიტყუვდნენ; საქართველოს დემოკრატია უფრო გონიერი და გაბედული გამოდგა, ვიდრე მათ ის წარმოედგინათ. საქართველოს სიმტკიცე თანდათანობით ძლიერდება, მისი სახელმწიფოებრივობა იწყობა და ამ რამდენიმე კვირის წინეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა აღიარებული იქნა მთელი ევროპის მიერ.

როგორი იქნება ამის შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის მესვეურების განწყობილება, რა გზას დაადგებიან, ეს ფრიად საინტერესო საკითხია, მაგრამ ამაზედაც სიტყვიერი პასუხი უკვე ნათელია. ცხოვრება ამბობს, რომ ევროპის მიერ საქართველოს ცნობა რუსეთისთვის დიდ ღირსშენიშვნელოვანი ფაქტია. ის გაუადვილებს რუსეთს ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დაჭერას და რუსეთი შეეცდება ამ შესაძლებლობის გამოყენებას.

შეინანი რუსეთის სახელით გულწრფელად ცდილობს საქართველოს ცნობის გამარჯვების და თან გამოსთქვამს იმედს, რომ გაუცხოობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მალე გაქრება.

დაპირება არის. ასეთი დაპირება და დეკლარატიული განცხადება კარგი სურვილებისა ბევრი გვსმენია, მაგრამ დღეს გვინდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკურ მესვეურებს იმედი დაეკარგათ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობისა და დღეიდან საქართველოსთან განწყობილების საქმეში რეალური პოლიტიკის გზაზე დადგებიან. ამ პოლიტიკას მეტი პატივისცემის მოტანა შეუძლია ქართველი საქართველოსათვის ხელისუფალი იქნება. ვნახოთ.

პასუხი წერილებზე.

(არჩევნებისთვის)

ჩვენში ბურჟუაზია „დემოკრატიული პარტიის" პირით გაიძახის;

— „ჩაგვაბარეთ სახელმწიფოს ხელისუფლება გამგეობა,

— „თუ გვერწმუნებით, სა ... ვიფინანსებთ.

აქ ეს განწირული ჯგუფი, ეს „აუცილებელი და დროებითი ხორცმეტი" —

— გამოღმა გვედავება! გვემუქრება! მეტიჩრობს!

გასაოცარია ამ ხალხის პრეტენზიები!

„ღმერთი ადამიანის დასჯას რომ მოისურვებს, პირველ ყოვლისა ჭკუას წაართმევსო"!

ღმერთები შეუბრალებლად მოექცენ მათ!

მათი დასჯაც გადასწყვიტეს და გონებაც მოუშალეს!

თორემ ცხოვრება, მით დინარე ამბების ფაქტები, მათ ჩაიფიქრებდენ და მოაკვიანებდენ.

გასაოცარია, რატომ ვერთხელაც არ შეეკითხებიან თავის თავს ეს ახირებული პრეტენზიის ხალხი — რა ბედი ეწვია მათ ამხანაგებს რუსეთში!

ანუ, ეხლა რომ ეძახიან, —

— „სოვდეპიაში"!

სად არის რუსეთის ბურჟუაზია, და თუ არასასურველ „ელემენტად" „გადაბარგდილა", — რა არის ამის მიზეზი?

რატომ მოხდა მათი საიქიოსკენ ნაჩქარევი „ევაკუაცია"?

კითხვა მეტად დამაინტერესებელი და საგულისხმოა!

მშვენიერ საქართველოში ბურჟუაზია ითბობს ჩვენი ქვეყნის ცხეს და მათი „ბანოვანნი" აბრჭყიალებენ ძვირფას თვლებს უსაქმურობით გამდნარ თითებზე.

ამ „ერთად ერთ ოაზისში", რომელიც შეგნებულად შექმნა ქართველი მუშის მოთმინებამ და რომლის კედლებს ნაცვლად კირისა, მშრომელი ხალხის გმირული სისხლი ამაგრებს, — ბურჟუაზია სარგებლობს თავისუფალი ცხოვრებით და ხელს უწყობს ქვეყნის სიმდიდრის განადგურებას — ოხრებას ...

როგორ იქცევიან მათი თანამოძმენი „სოვდეპიაში"?

იქ აჩქარებულად და ძალურიდებლათ „ამოაგდო ხორცმეტი მუშათა კლასმა.

ამ „ოპერაციას" საშინელი ამბები ახლავს, რადგან რუსეთის საბელშწიფოს სხეული მისივის ჯერ მოუშწიფელი და მოუმზადებელი გამოდგა.

მაგრამ... რაც მოხდა, მოხდა!!

და მოხდა ის, რომ რუსეთის ბურჟუაზია ალარ არსებობს!

და თუ ვინმე დარჩა, სარდაფებში მიმალულან სულგანაბულად და ტანისაცმელს და მანეტებს იგლეჯენ და ტომრებს იფარებენ!

— „კლასიური განსხვავების დასაფარავად"!

ეშმაკი, რომ სისხლით დამთვრალმა მეზღვაურებმა არ გამოიცნონ და ჩვეულებისამებრ „რასხოდში" არ ჩასწეროს!

ცივ რუსეთში წითელმა ტერორმა მოსცველა მათი თაობა!

თუ სადმე გადარჩა ვინმე, — სახელდახელო ნიღბები გამზადებული აქვს და გულის ფანცქალით ელოდება მოხერხებული დროის გასაჭაცვათ!

კომუნისტებმა ალადგინეს ძველი რომის კატაკომბები!

დონის როსტოვის მაგალითი ჩრდილავს ისტორიული კატაკომბების საშინელებას, მაგრამ ჩვენს ლიბიანებს მაინც არაფერი ესმით!

როდესაც ამ ქალაქში ბურჟუაზიას სადღესასწაულო დორეზივით სჭრიდენ ყელს „წითლები". — განწირულების ერთი ნაწილი გადამალვას ახერხებს და... სასაფლაოსკენ მიეშურება!

აქ, ძველ საფლავებში იპოვის მათ თავშესაფარი!..

ორ კვირაზე მეტი გასტანა ხიზნების ტანჯვამ.

განთიადზე, — სინათლის შუქით დამფრთხალი მიწაში, საფლავებში მიძვრებოდენ, — საღამოს ბინდზე კი ზევით ამოდიოდენ!

ჩუმათ, გადაცმულ ტანთსაცმელში, უზიდავდენ მათ ახლობლები ლუკმა პურს.

ბევრმა ვერ აიტანა საშინელ ჩონჩხებთან მეზობლობა და გონება დაჰკარგა!..

და სწორედ ამან დაიჭარა საბედისწერო წუთი.

შეშფოთების ყვირილმა და ხმაურობამ დაარღვია სიჩუმე, გასცა დევნილები და „წითელმა ხელმა" იქვე გამოიტანა განაჩენი!

ჩვენში, კი „ქვების ლოკვას" გვიწინასწარმეტყველებენ!

სახელმწიფო ძალა-უფლებისაკენ ხელებს აფათურებენ!

ერთის მხრით „ყველაზე მეტად სარგებლობენ მშვიდად ყოველმხრივ ვათ უზრუნველყოფილ ცხოვრებით, მეორე მხრივ კი გულზე ბოლმა ასკდებათ მუშათა კლასის პოლიტიკურ საქმიანობით".

ამ დღეებში ეს გრძნება დაკარგულ ჯგუფის წარსდგება ამომჩეველების წინაშე.

ის შესთავაზებს ხალხს თავის პოლიტიკურ „რეცეპტს".

ეტყობა, ის მიმართავს ყოველ გვარ საშვალებას თავის მდგომარეობის გასამაგრებლათ.

ჩვენი მწერომელი დემოკრატია კარგათ იცნობს ამ ღახავს ბოლშევიკებს და ის ჩვეულებრივი ღირსებით დადგება თავის პოზიციაზე.

— მუშათა პარტიის პლატფორმაზე!

და თუ ბურჟუაზიული ავიტაცია გაიზარდა და ხაზღვარს გადასცილდა, — ხალხი მთელი თავისი სიდინჯით უპასუხებს მათ:

— ნუ გვაჩქარებთ, ბატონებო, ნუ! ჩვენ ვიცით თქვენი „ამოგდების" დროდა. ვერავითარა პროვოკაცია ვერ შესძლებს ჩვენი ხალხის შეცდომას!!..

(ფიქრობენ).

ესტონია.

ესტონია და საბჭოთა რუსეთი.

ესტონიის მთავრობამ ცნობა მიიღო საბჭოთა რუსეთში მყოფ თავის წარმომადგენლებისაგან, რომ საბჭოთა მთავრობა ამ ბოლო ხანებში სასტიკად სდევნის ესტონიის ქვეშევრდომთ, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების სურვილს აცხადებენ. ასეთივე დევნის შესახებ ცნობები მოდის ჩრდილო-კავკასიიდან და დასავლეთ ციბირიდან, რაც მაჩვენებელია იმის, რომ ეს დევნა ხდება საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ცირკულიარით. პსკოვის რაიონში ბევრ ესტონელს ჩამოართვეს ქონება, რაც ეწინააღმდეგება საზაკო ხელშეკრულებას.

80,000 მშიერი ბავშვი.

ინტერნაციონალური წითელი ჯვრის წარმომადგენელი იუწყება რიგიდან, რომ ლატვიაში 80,000 მშიერი ბავშვია.

ირლანდიის მოძრაობა.

ლოიდ ჯორჯის სახელზე გაგზავნილ საპასუხო დეპეშაში სინფეინერთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი უარყოფს მტკიცებას, თითქოს ის ხელს უშლიდა ზავის ჩამოგდებას, და ხაზს უსვამს, რომ სინფეინერები მეტად მშვიდობიანი პოლიტიკური ორგანიზაციაა არის.

ინგლისის მთავრობის ჩარევამ რეაქცია გამოიწვია. თუ მოისპობა მიზეზი, შეიძლება ატონომიურად გაჩერდეს.

შეიქმნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე ერის წარმომადგენლები გამოიმუშავებენ სამარადიან, ორივე ერის დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას.

გერმანია და მოკავშირენი.

ნაუენი 10 | 11. გერმანელ დელეგატების ლონდონში მოწვევის გამო „ჟურნალი" სწერს: ფხიზელმა აზრმა გაიმარჯვა, უკიდურეს პარტიათა მისწრაფებებზე. რადგანაც ეს მოწვევა დამოკიდებული არ არის. გერმანიის კონტრ წინადადებებს ლონდონის კონფერენციაზე განიხილავენ.

გერმანიის სოციალისტების პარტიაში.

ის სოციალისტები, რომლებიც ეკუთვნიან მუშათა დამკვიდრ საერთაშორისო ასოციაციის გერმანულ ფრაქციას, ენერგიულ პროტესტს აცხადებენ მოკავშირეთა მიერ ანაზღაურების მოთხოვნის გამო მათის აზრით, ანაზღაურების გამო მუშები და მოსამსახურეები საშინლად გალატაკდებიან.

ზემო სილეზია.

ზემო სილეზიაში მყოფმა გერმანელთა საპლებისციტო კომისიამ მიიღო ცნობები 20 თუ 30 პილონურ ბანდის არსებობის შესახებ. ყოველი ბანდა შესდგება 5-7 კაცისგან, რომელნიც სცდილობენ შექმნან ტერორი და ამ გზით აიძულონ პლებისციტის მედეგებზე გავლენა მოახდინონ.

განიარაღების საკითხი.

ბერლინიდან იუწყებიან: ვიენტენბერგის პალატაში განიარაღების ასკილის გახილვის დროს მემარცხენე სოციალისტების ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა: გერმანელები რომ გამაჯავებულნი ყოფილიყვნენ, ის ნი არ დასთანხმდებოდენ განიხილა ვინმეს მათი განკარგულება

გემი „ჰინდენბურგი".

ჰინდენბურგმა ბრემენში „მონათლა" ახალი გემი, რომელიც მას სახელს ატარებს. ცერემონიას წმინდა რეაქციონური ხასიათი ჰქონდა ქალაქი მონარქისტულ დროშებით იყო მორთული.

გერმანიის ნოტა საფრანგეთს.

ლიონი 9 | 11. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ სიმონსმა საფრანგეთის რწმუნებულს გადაეცა შემდეგი ნოტა: იღებს რა მხედველობაში ამ საუბარს, რომელსაც ჰქონდა ადგილი საფრანგეთის ელჩსა და გერმანიის საგარეო მინისტრს შორის, გერმანიის მთავრობა თანახმაა გააგზავნოს ლონდონის კონფერენციაზე მარტისთვის თავისი დელეგატები იმედით, რომ ოლაპარაკება დაიწყება იმ წინადადებაზე, რომ წარდგენის უფლებასაც იტოვებს გერმანია.

კამათი დეპუტატთა პალატაში.

კამათი ბრიანის მოხსენების შესახებ დეპუტატთა პალატაში მოხდა სამშაბათს. მოისმინეს შემდეგი ორატორები: ტავე, დე მაგალონი, კლოკი — მოლაპარაკებისა და ვერსალის ხელშეკრულების შესახებ, ლუშერი განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი. პრემიერმა უპასუხა პალატის უკანასკნელ სხდომაზე ოთხშაბათს დღით. კლოცმა თავის სიტყვაში შეადარა ის თუ რა უნდა მიიღოს საფრანგეთმა გერმანიისაგან 1925 წლამდე, იმ ჟამს, როდესაც უნდა მისცეს საფრანგეთმა ამერიკა და ინგლისს დასკვნა აშკარა იყო როდესაც პრემიერმა შეაწყვეტინა და უთხრა: როდესაც ომი დასრულდა, თქვენ იყავით საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი და, უეჭველია იყავით მომხრე მიგეღწია ვალი გაეშვრომათვის, ის თბილი სიტყვები, რომელიც მოისმინეთ თქვენ შინ აიდვირებენ ჩემი მიზნის მიღწევას. პარიზის კონფერენციაზე კავშირეთა შორის სრული თანხმობა ჩამოვარდა." შემდეგი ორატორი იყო ლუქერი, რომლის სიტყვა პალატა ტაშის ცემით შეხვდა.

ლონდონის კონფერენცია და გერმანია.

ლიონი 10 11. პარიზის პრ იუწყება: გერმანელების მიერ კავშირეთა წინადადების მიღ ლონდონის კონფერენციაზე ტების გაგზავნისათვის არი ვეული ნაბიჯი, რომელიც გვაჩ რომ გერმახია უფრო ფხიზლ ქრის თავის მდგომარეობას. პ აზრით მოკავშირეებმა არ უნდა ილონ ის პირობები, რომლებ გერმანელი დელეგატები წარად ნენ პარიზის გადაწყვეტილებათა დახილვის შესახებ, რადგან დაწყვეტილებანი დათმობის მა მუშს წარმოადგენს.

პარიზის კონფერენციის გარშემ

სამშაბათს დეპუტატთა პალატ გაგძლდა თათბირი პარიზის გა წყვეტილებათა შედეგების შეს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა კლ ცმა გააკრიტიკა პარიზის პირობ ვერსალის ხელშეკრულება და

რანგუნი.

ლუშერმა, რომელიც კლ თან ერთად მონაწილეობას იღ ვერსალის ხელშეკრულების გამო შავებაში და რომელსაც ამ ქ განთავისუფლებულ ოლქების ტრის თანამდებობა უკავია, ხადა, რომ საფრანგეთმა (დ ჯგუფული) მოიტანა მსხვერპლი, რომ უმთავრესი მნიშვნელობა კავშირეთა შორის ერთიანობის სებობას აქვსო.

სინფეინერების შეთქმულება.

პარიზი თანახმად „ჟურნალ დებას" ცნობისა ლონდონში აღმოაჩინეს შეთქმულება სინფ რების, რომელთაც სურდათ დათ ცეცხლი ნავთის დიდი სა ბისათვის. სამი სინფეინერი დ რეს იმ დროს, რიდესაც მათ როტ მოქმედების ჩადენა სურ ერთ-მათგანს იალარი აღმოაჩ შეტაკება ირლანდიელებსა და გლისის ჯარების შორის გრძელდება. შეტაკებას უფრ

ხასიათი აქვს კარში. ხშირია მოხვევები ინგლისელ ჟანდარმებზე ვდასხმისა.

ომუშევრობა ინგლისში.

ნდონი. 19 იანვრამდე შრომ პირველში 859,000 კაცმა ითხო სამუშაოს მიღება მდგომარეობა პრიორიტეტში მეტად გართულებულია. მრავალი ქარხანა იხურება, რც თანდათან ზრდის უმუშევართა იცხვს.

იტალიის ცნობები.

იტალია და რუსეთი.

რომი 7 თებერვალი, საგარეო ქმეთა მინისტრმა გრაფმა სონრინომ წაიკითხა პრესის კონფერენციის შედეგების შესახებ და განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა იტალიის დელეგაციამ ოფილ რუსეთის იმპერიის ტერიორიაზედ აღმოცენებულ სახელმწიფოთა ცნობის საკითხში, ე. ი. ლიტის სახელმწიფოებისა და საოთველოს რესპუბლიკის აღიარების სახითხში. იტალიის დელეგაცია ამ საკითხებში დაიკავა დადებითი პოზიცია. ზოგიერთებმა გამოსვლებს ეჭვი, რომელიც საერთო ართულებულ მდგომარეობით აიხნება. მაგრამ მე ალვნიშნე, განაცადა სფორცამ, რომ ჩვენ არ შეგძლია რუსეთის მთავრობაზე უფრო ტი ინტერესი გამოვიჩინოთ და თუ რუსეთის მთავრობამ იურიდიულათ აღიარა ესტონეთი, ლატვია და ქართველო, ჩვენ არავითარი საძველი არა გვაქვს, რომ იურიულათ არ ვიცნოთ საქართველო, თ უმეტეს, რომ საქართველოს თავრობამ მტკიცე პირობებში ამტკიცა თავისი სერიოზულობა გამოიჩინა მნიშვნელოვანი ძალი ჩვენ მდგომარეობაში არ შეიძ, რომ საქართველოს იურიდიულათ ცნობაში ვინმემ დაინახოს სეთის ხალხისადმი ჩვენი თანაგრძობის შემკირება. იტალია არ ივიწებს ომის დროს რუსეთის ლაშქრის ერ გამოჩენილ გმირობას. იმ განცდელის ჟამს, რომელსაც ამ ჟამად ანიცდის რუსეთი, იგი ახდენს თავის რეკონსტრუქციას ფედერატიულ

საქართველო 1918 წელს

(ამიერ-კავკასიის მასალებით)

ხმლების სამშვიდობო წინადადება სასურველათ სცნო ამიერ-კავკასიის კომისარიატმა და აუწყა ოსმალეთის მთავარ სარდალს, რომ ის თახმაა ჰეჩერდეს სამხედრო მოქმედება და ჩამოვარდეს წინასწარი ზავი.

წინასწარი ზავის პირობები ასეთი ყო: ორივე მოპირდაპირე ჯარი უნდა დარჩენილიყო ძველ პოზიციაზე. არდა ამისა მოსავშირეთა მხრით მაყოფილება რომ არ გამოეწვია ამიერ-კავკასიის სეპარატიულ საზავო რაპარაკებას ოსმალეთთან, ერთ თ პირობათ ოსმალეთს ამიერ-კავსიამ მოსთხოვა, რომ მას მესოპოტომიის ინგლისის ჯარის წინააღმდეგ კავკასიის ასპარეზიდან არავითარი ჯართა გადაჯგუფება არ მოეხდინა, რაც ეუწყა ინგლისის მესოპოტამიის ჯარების მთავარ სარდალს. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა რუეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ თავრობებს შეატყობინა ოსმალეთის ომართვა სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ და წინადადება მისცა თ მიეღოთ ამ მოლაპარაკებაში მოწილეობა.

შემდგით ამიერ-კავკასიაში იმ დროს ყოფი მდგომარეობა იყო: მოუმაგებელი მმართველობა, განაპირა ხეებში სრული ანარქია და უპა-

შეკავშირებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოების პატივისცემის ნიადაგზე. ამ გვარად რუსეთი თავის მოსაზღვრე სახელმწიფოებს აძლევს თავის თავად მეზობელთა არსებობას.

ანგორის მთავრობის გადაწყვეტილება.

პარიზი. თანახმად სტამბოლიდან მოსული ცნობებისა ანგორის მთავრობას გადაუწყვეტია გადავიდეს სივასში, იმ შემთხვევაში, თუ ესკი შეხირი ბერძნებმა აიღეს.

ანგორა და მოსკოვი.

ჟურნალი „დე დება“ იუწყება ქემალისტებმა გადასწყვიტეს წარუდგინონ მოსკოვის კონფერენციას მოთხოვნილება, რათა ბოლშევიკებმა დასტიქონ სომხეთი და აზერბაიჯანი

ოსმალეთი და საბერძნეთი.

თანახმად სმირნიდან მოსულ ცნობებისა ბერძნები აპირებენ 70.000-ან ლაშქრის შექნას მცირე აზიაში ხელახალი შეტევის დასაწყებათ. ოსმალეთი ბერძენთა ლაშქრის დასხვედრათ ემზადება. იმ შემთხვევაში, თუ ბერძნებმა მოახწრეს შეტევა, ოსმალეთის ჯარები დაიხევენ სახელმწიფოს შუაგულისკენ, სადაც მოამზადებენ ჯარება წინააღმდეგობის გასაწევათ.

გუნარისის განცხადება

გუნარისმა უარი განუცხადა საბერძნეთის წარმომადგენლობაზე ლონდონში, რადგანაც მოკავშირე სახელმწიფოთა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ არის მიმართული.

საყოველთაო არჩევნების საკითხი ჩინეთში.

მთავრობაში. შეიტანეს პროექტი კანონისა საყოველთაო ხმის მიცემის შესახებ. პროექტი უარჰყვეს. ამ საკითხმა დიდი აღელვება გამოიწვია.

იმპერიული რუსეთის აჩრდილი.

პარიზი. ჟურნალ „დე-დებაში“ იუწყება: რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა პარიზში ვრცლად განიხილეს საკითხი იმ განაპირა სახელმწიფოებრივ ერთეულების შესახებ, რომლებიც გამოეყვნენ რუსეთს. ამ საკითხის შესახებ გამოტა-

სომხეთი.

გაზ. „მშაკი“ იტყობინება, რომ ზანგეზურ-დარაგლესის მთავრობის თავმჯდომარე ფიქრობს ერევანზე შეტევის დაწყებას. მან მიმართა ერევნის მთავრობას წერილით, რომელშიდაც ის პირდება ამ დღეში ერევნის მთავრობას მოსპობას.

თუ რუბენ პაშამ შეტევა დაიწყო მას დაეხმარებიან სორუნელები, რომლებსაც მეთაურობს დაშნაკი კარო სასუნი.

რაგორც გადმოგვცემენ სომხეთის წითელი არმია მეაბოხეებს ვერ შეებრძოლება. ერთად ერთი ძალა რომელიც დაიცავს წითელი სომხეთის მთავრობას ეს რუსის ჯარის ნაწილებია.

სტამბოლის ცნობები.

სტამბოლის პრესა ამბობს, რომ ამიერიდან საქართველოს წინა აზიაში ისეთივე მნიშვნელობა ექნება როგორც პოლონეთს ბალტიის მხარეში. სომხეთი და აზერბაიჯანი ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნებიან საქართველოს კარნახის ქვეშ იყვნენ.

გაიტში (ამერიკის ახალშენია) ველურ მცხოვრებლებს მოუკლავთ და შეუჭამიათ ინგლისის ოფიცრები, ამის გამო ინგლისს საომარი სამინისტრო განმარტებას თხოვს თემთა პალატა, თუ რას აკეთებენ გაიტში ინგლისის ოფიცრები.

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ მცირე აზიაში ახალი ქემალი გამოჩნდა, რომელსაც 8000 ჯარის კაცი ჰყავსო.

უკანასკნელი ამბები.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ რომ ყოფილ ნეიტრალ ზონაში

მთავრობას აღმოუჩენია სომხის რევკომის აგენტების საქართველოს სა წინააღმდეგო ამბოხების მოწყობის განზრახვა.

ალმოსავლეთის საზღვრებზე სომხური და რუსული ბრბოების ახალი გადმოჯგუფება დაწყებულა.

ახალი ამბები.

— ფრონტის დამხმარე კომიტეტმა დარჩენილი თეთრეულობა გადაცა მესაჭე ბატალიონს. ახლო მომავალში კომიტეტი ფიქრობს სალომის გაპართვას ფრონტის სასარგებლოთ.

— ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიძინა არდაგანში ფქვილი და ჭარტოფილი.

— ქალაქის წისქვილების სამოლოთ მოსაწყობად გადაიდო 700.000 მან ერთ თვეში წისქვილი ამუშავდება.

— ქალ. გამგეობამ შეიძინა მინ 7 მ. 50 კოპ. ვერშოკი.

— ბათომის საქველმოქმედო საზოგადოება სთხოვს ქალაქის თვითმართველობას ბრინჯს ღარიბთა თავშესაფარისათვის.

— ქალაქის თვითმართველობის საალმშენებლო განყოფილება მალე შეუდგება ბარცხანაში ზღვის ნაპირების გამაგრებას.

— დღეს დანიშნულია არჩევნები სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტში.

— ხუდადოვას ნაბა დართეს დაარსოს კერძო ბიბლიოთეკა.

— განათლების სამინისტროს რწმუნებული შუადგომლობს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე, რომ ქობულეთში ფიქვნარის პირველ დაწყებითი სკოლისათვის დაეთმოს ერთ ერთი სახაზინო შენობა.

— ნაფიცი მქონილი მ. ა. ფუბარი რაბინათ აირჩია ებრაელთა ნაც.

საბჭომ, მთავრობამ ის დაამტკიცა.

— შავშეთ—იმერეთის ხოვრებნი დეპეშით სთხოვენ საქართველოს თქვამენ საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო.

— კვირას, 7½ საათზე ბ. აიოლო წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ცხოვრება, შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მ. გორკისა“. შემდეგ გაიმართება კამათი.

თბილისი.

ნავთის მრეწველობა.

თებერვლის 9, სავაჭრო სამრეწველო პალატაში შესდგა საქართველოში ნავთის დამუშავების ორგანიზაციის მომწყობ თათბირის სარედაქციო კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა მთავრობასთან დასადებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ნავთის მრეწველობის ორგანიზაციას შეეხება.

ანგორის მისიაში

საქართველოში მყოფ ანგორის მთავრობის წარმომადგენლობაში იუწყებიან, რომ საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო აღძრულია საკითხი ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის ოსმალეთის მთავრობის საელჩოთ გადაკეთების შესახებ. ამის გამო ანგორიდან მოველიან საბოლოო განკარგულებას.

სპარსეთის საკონსულოში

თფილისში მყოფმა სპარსეთის გენერალურმა კონსულმა სპარსეთის მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა საკონსულოს რეორგანიზაციისა და საელჩოს დაარსების შესახებ. შუამდგომლობა გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობის გამო.

ტყვეობაში მოექცა და იგი უნდა დაეცვა.

ქართული ნაციონალური წრეებში გაძლიერდა მოწოდება, რომ ვინაიდან ენვერ-ფაშა კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობაზე ლაპარაკობს, საჭიროა ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობა გამოაცხადოთო...

რუსის ჯარი ისევ აქ იყო. აზერბაიჯანში აშკარად დაიწყეს თურქების არშიყი, ხოლო სომხეთი ყველასთან იყო: ბოლშევიკებსაც ეპატრონებოდა და კავკასიის მთავრობითაც ჰფიქრობდა მოგებას.

ამიერ კავკასიის სახიფათო მდგომარეობით ისევ ქართველი დემოკრატია იყო გულნატკენი და მხოლოდ იგი სცდილობდა საერთო ძალ-ღონით სამივე ერის საშვიდობოზე გაყვანას.

ამიერ კავკასიას ენვერ ფაშის დიპლომატიურ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა და სასწრაფოდ ზავის კითხვის მოგვარების შესდგომოდა, რადგან ომის განსაგრძობად არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა.

სეიმი და კომისარიატი თავის თავს სთვლიდა რუსეთის ნაწილათ და ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა არ ჰქონდა გამოცხადებული.

პოლის კომისარიატმა და სეიმმა დაადგინა ეპასუხნა ოსმალეთისთვის, რომ სეიმი სთვლის თავის თავს

საბჭომ, მთავრობამ ის დაამტკიცა.

— შავშეთ—იმერეთის ხოვრებნი დეპეშით სთხოვენ საქართველოს თქვამენ საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო.

— კვირას, 7½ საათზე ბ. აიოლო წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ცხოვრება, შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მ. გორკისა“. შემდეგ გაიმართება კამათი.

თბილისი.

ნავთის მრეწველობა.

თებერვლის 9, სავაჭრო სამრეწველო პალატაში შესდგა საქართველოში ნავთის დამუშავების ორგანიზაციის მომწყობ თათბირის სარედაქციო კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა მთავრობასთან დასადებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ნავთის მრეწველობის ორგანიზაციას შეეხება.

ანგორის მისიაში

საქართველოში მყოფ ანგორის მთავრობის წარმომადგენლობაში იუწყებიან, რომ საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო აღძრულია საკითხი ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის ოსმალეთის მთავრობის საელჩოთ გადაკეთების შესახებ. ამის გამო ანგორიდან მოველიან საბოლოო განკარგულებას.

სპარსეთის საკონსულოში

თფილისში მყოფმა სპარსეთის გენერალურმა კონსულმა სპარსეთის მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა საკონსულოს რეორგანიზაციისა და საელჩოს დაარსების შესახებ. შუამდგომლობა გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობის გამო.

უფლება მოსილ ორგანოთ ზავის შეკვრის საქმეში და დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

ბრესტში მასტაბში მოვლენათა განვითარების მაშინ ასეთი იყო. ვილსონი საყოველთაო ზავზე ლაპარაკობდა, ბოლშევიკებმა ჯარი დაითხოვეს და ავსტრო გერმანიის საზღვარზე ომი შესწყდა, რითაც საშვალება მიეცა გერმანიას ახალი ძალები ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ გადმოეჯგუფებია.

რუსეთი სამუდამოდ გამოეთიშა მეომართ სახელმწიფოთა რიცხვიდან და იგი სამოქალაქო ომის აფეთქებაში გადავარდა.

ამ გარემოებამ ომის გამარჯვების სასწორი გერმანიისკენ, ცენტრალი კავშირისკენ, გადახარა.

ამიერ-კავკასიის პირდაპირ მდგომი ოსმალეთი ცენტრალ კავშირის წევრი იყო.

ეროვნული მოძრაობა რუსეთში გრძელდებოდა. ბალტიის მხარეში ლატვია, ლიტვა და ესტონეთი გამოეყვენ საბჭოთა რუსეთს, უკრაინა კარგა ხანია ცალკე იყო და დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ამიერ-კავკასიის მთავრობა საზავო დელეგაციას ამზადებდა, რამ მიჰქონდათ ძოწოდებით ჯარებს, რომ მტკიცეთ და ფხიზლად მდგარიყვენ ბავშვიანთ საგუშაგოებზე, არ დაუტოვებიათ ფრონტი სანამ არ შეიკრებოდა საბრალო და დირსეული ზავი.

საბჭოთა რუსეთში.

ტერორი უკრაინაში.

ურაინაში გამოქვეყნდა რაკოვსკის დეკრეტი, რომელმაც თავის სიმკაცრით გადააჭარბა ჩრეზვიჩაიკის შეთაურის დზერჟინსკის დეკრეტებს. დეკრეტში ნათქვამია:

1) ყველა თეთრგვარდიელები კანონს გარეშე ცხადდებიან. ყველა ვინც წინააღმდეგობას გაუწევს საბჭოთა მთავრობას, დახვრეტილი იქნება იქვე.

2) აჯანყებულთა ახლობელი ნათესავები მძევლებათ იქნება გამოცხადებული და გაგზავნება კონცენტრაციულ ბანაკებში. აჯანყებულთა და მათ ახლობელთა ქონება ჩამორთმეული იქნება ადგილობრივ გლეხების სასარგებლოთ.

3) სოფლები, რომლებიც დახმარებას აღმოუჩენენ აჯანყებულებს ცხენების, ურმების ან დამხმარე ძალების მიცემით დაისჯებიან: ა) ჩამოერთმევათ მომარაგებული სურსათი, ბ) დაედებათ კონტრიბუცია, გ) ჩამოერთმევათ მთელი ქონება, დ) სოფლებს ზარბაზნებს ესვრიან, ე) საჭიროთ განადგურდებიან საარტილერიო ცეცხლით,

4) წინადადებას ვაძლევ ზურგის უფროსებს და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს ადგილებზე შეადგინონ სია იმ სოფლებისა, რომლებიც კონტრ-რევოლიუციის ბუდეს წარმოადგენენ და იმოქმედონ მათ წინააღმდეგ ზემოთ აღნიშნული წესით.

5) წინადადებას ვაძლევ ზურგის უფროსებს, კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების ჩაქრობასთან ერთად დაუყოვნებლივ განაიარადონ შეხვედრები.

6) წინადადებას ვაძლევ, იმ ადგილებში, სადაც მზადდება ბურჟუაზიული გამოსვლები, ბანდიტების დახმარებაში შერჩენილ მდიდარ და გავლენიან წრეებიდან წაიყვანონ მძევლები.

7) მძევლები მიყანილი უნდა იქნან ჯარების ახლობელ შტაბში, ჩრეზვიჩაიკაში ან რევოლიუციონურ ტრიბუნალში გასასამართლებლათ.

8) წინადადებას გაძლევთ აუწყოთ მცხოვრებთ, რომ თუ რომელიმე სოფლის გლეხები გადავიდნენ თეთრ-გვარდიელების მხარეზე, ან მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში კომუნისტების წინააღმდეგ ან შეჩნეული იქმნენ საბჭოების წინააღმდეგ რაიმე მტრული მოქმედებაში,— მძევლები დახვრეტილი იქნებიან.

აჯანყება პეტლიურისაში

როგორც გაზ. „ვოლ. რას.“ იუწყება დიდმა პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც შეიარაღებული იყო არტილერიით და ტყვიასმფრქვეველებით მოულოდნელათ დაეცა ქ. ბობრუისკი. დაატუსაღეს რამდენიმე კომისარი და სოფლებში წაიყვანეს. პარტიზანული მოძრაობა, რომელიც დღითი დღე იზრდება, ძლიერ აფიქრებს ბოლშევიკურ მთავრობას. პარტიზანებსა მრავალი ხიდები აუფეთქეს ბელორუსიაში და ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ადგილებში.

კომუნისტურ პარტიაში.

უთანხმოება კომუნისტურ პარტიაში და ოპოზიცია ცენტრ. კომიტეტის წინააღმდეგ თანდათან ღრმავდება. ოპოზიციას აშკარათ ხელმძღვანელობენ რიკოვი და შლიაპნიკოვი, რომლებიც ეყრდნობიან პროფესიულ კავშირებს.

ოფიციოზური პრესა აღნიშნავს „ენშევიკები“ და ესერების გაძლიერებულ აგიტაციას, რომლებიც ცდილობენ გამოიწვიონ უკმაყოფილება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ“.

ერთ ერთ კრებაზე ლენინმა, როცა მუშებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს იძულებითი შრომის შემოღების გამო, მკაცრათ უპასუხა, რომ ის მუშები რომლებიც პროტესტს აცხადებენ, იმ ზომამდე არ ამაღლებულან, რომ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ აღმშენებლობაში.

„კომუნისტურ კრებისათვის ჯერ ყველა ცოლ-ქმარი ლენინს უპასუხა მშობლიურმა, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა ცენტრ. აღმ. კომიტეტის მთელი პოლიტიკა, რომელიც ეწინა ღმდეგება სოციალისტურ პრინციპებს“.

ერთი რამეზე.

კომუნისტურ რუსეთს სჭირდება დიპლომატია და საზოგადოდ დიპლომატიური მუშაობა არ უყვარს.

ამის გამო ჩვენში წარმოგზავნილი რუსეთის დიპლომატიური და ოფიციალური სრულ უფლებიანი, რწმუნებულნი ოფიციალ და დიპლომატიურ საქმეთა მაგიერათ აკეთებენ მეორე საქმეს.

ესენი აარსებენ კომუნისტურ პარტიას, კიროვ-აქ ყოფნის დროს ხელმძღვანელობდა ამ „რეალურ“ საქმეს.

მილიონები იხარჯებოდა საბჭოთა მთავრობისაგან ამ მიზნისთვის. საჭიროა მისიები ბოლშევიკურ ყაზარმას წარმოადგენენ, 60-100 კაცი აფარებს თავს ამ მისიას...

ყველა დაბნაშავე და რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული პირი ამ საკონსულოს აფარებს თავს და აქედან გვებრძვის. პატარა საქართველოში, რაც ისე ფართე არ უნდა იყოს რუსეთის ინტერესი ბოლშევიკები იმას ვერას გზით ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ აქ ოფიციალ მუშაობისთვის 100 კაცი ეჭირვებათ. აქ არის ევროპის საელჩოწიოთა მისიები, რომელთა შემადგენლობა 8 დან 14 კაცს არ აღემატება, ეს ახირებული მოვლენაა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მის წინააღმდეგ სათანადო ზომა უნდა მიიღოს.

ოფიციალ უფლებით არა ლეგალურად მომქმედი პირები საქართველოს წრეებიდან უნდა აღმოიფხვრან.

ბოლშევიკების მისია და საკონსულოები საპრაპაგანდო და საქართველოს სახელმწიფოს შინაურ თავდასხმის მოსაწყობი შტაბია, რომელთა ასეთ სახით და გეგმით არსებობა საქართველოსთვის შეუწყნარებელია.

ი იმერელი.

ევროპა — ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა.

თებერვლის 1. ერობათა კავშირს მომარაგების სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ქალალდი გაუგზავნა: ამით გაუწყებთ, რომ ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომლებიც რამდენათმე ასურათებენ ევროპისა და ამერიკის საერთო მდგომარეობას. ამ ცნობების მიხედვით ევროპისა და ამერიკის საშეურნეო ცხოვრება ნახევრად გაყინვის პროცესში იმყოფება და მძიმე კრიზისს განიცდის. ნედლი საქონლის მოთხოვნილება თითქმის სრულებით არ არსებობს ისე, როგორც არ არსებობს მოთხოვნილება საქონლისა. ნედლი მასალის ღირებულებამ ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში კატასტროფიულად დაიწია: მაგალითად ამერიკის ბაშბის ფასმა 25—30 პენსიდან ინგლისურ გირვანქაზე 8-12 პენსამდე დაიწია. თითქმის არავითარი მოთხოვნილება არ არის მატყლზე: დიდ სულ ცოტა სვეჩარო პირობანი, რომლის მიხედვითაც ერთ ინგლისურ გირვანქა ავსტრიულ მატყლს ხუთ პენსათ ყიდულობენ. ბრეშუმის პალკის ფასმა კილოზე 80-90 ფრანკიდან 35 40 ფრანკამდე დაიწია და მყიდველები მაინც არ არის. ფასის დაცემა ემჩნევა აგრეთვე ლითონსა და ნახშირს. ეცემა აგრეთვე საქონლის გადაზიდვის ფასი. თუ 1920 წ. აგვისტოში საზღვაო გადაზიდვა „კუნარდი“ ბათომამდის მცირე ბარგის გადასატანათ 7-8 გირვანქას მოითხოვდა, ამ ჟამად ივი 4 ნახ. 5 გირვანქას მოითხოვს.

მრეწველობის მდგომარეობა შემდეგნაირია: ინგლისის საწარმოო დაწესებულებათა 4 პროც. გაჩერებულია, 30 პროც. კი კვირაში მხოლოდ 4 დღეს მუშაობს. იტალიის ამრეზუმის მრეწველობის 15 პროც. გაჩერებულია. საფრანგეთშიაც ამგვარი მდგომარეობა არის.

გერმანიის მრეწველობას ხელს უშლის და არჩობს საკუთარი საქონელი. საქონელი, განსაკუთრებით ოკინის გზისათვის საჭირო, შეკვეთილი აქვთ დიდ საწარმოო დაწესებულებათ. ის პირები, რომელთაც გადმოგვცეს ეს ცნობები და რწმუნებული არიან, რომ ერთსა და ორი წლის განმავლობაში ამერიკა და ევროპა ვერ შესძლებს გეერდი აუაროს და თვითონ აიცდინოს უკვე დაწყებული კრიზისი მრეწველობისა. ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკასა და შვეიცარიაში რამდენიმე ბანკი გაკოტრდა. მარტო ამერიკაში გაკოტრდა 21 ბანკი.

(ა. დ. ხ)

როგორ დონეზეა სწავლა-განათლების საქმე მესამე ათასეულში.

სწავლა განათლების საქმე ხსენებულ ათასეულში სასურველ დონეზე დაყენებული.

არსებობს სამკითხველო, რომელსაც მოსდის მარტივი ნომრები ყველა ჟურნალ გაზეთებისა, გარეთვე მოიპოვება მრავალი წიგნები, რომლებსაც ჯ. კაცები ძლიერ ეტანებიან. ჯ. კაცები, როგორც კი გააცნობენ მათ სახელით მემკვიდრეობას (სამხედრო), მიიხედავენ სიმშილს, მიისწრაფიან სამკითხველოსაკენ და ჟურნალ გაზეთებით ბრუნდებიან თავიანთ ბინებზე. აგრეთვე გამოყოფილი არის ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სტუდენტურათ იმაცადონ იმ ჯარის კაცებიან, რომლებმაც არ იციან წერა კითხვა. ხშირათ იმართება ლექციები, ინსტრუქტორ ბ. კიკაჩეიშვილს დღიდღეწლი მიუძღვის სწავლა განათლების საქმის კარგად დაყენებაში. აღსანიშნავია მხოლოდ სამკითხველოს გამგის ბ-ნ. თარგამაძის საქციელი. რომელიც მასაც ვერ განუმარტავს თორემ მე რით შევძლებ. გაზეთების მკითხველ ჯ. კაცებს მიმართავს არა საკადრისი სიტყვებით. ვიმედოვნებ, რომ შემდეგ ბ-ნი თარგამაძე გაასწორებს თავისი არა სასურველ საქციელს ჯ. კაცებისადმი.

ხაშა.

ნ თებერვალი ქობულეთში.

6 თებერვალი ისტორიული დღე დაბა ქობულეთისთვის.

ქობულეთის სოც. დემოკ. ბიუროს გადასწყვიტა შეგებებოდა ამ დიდებულ დღეს და მოეწყო ზეიმი საქართველოს იურიდიულათ ცნობის აღსანიშნავათ. ასეც მოიქცა, მან შემოიკრიბა მთელი ძალა თავის გარშემო, მოიწვია საუკეთესო პროპაგანდისტები ბათუმის სოც.-დემოკრ. კომიტეტიდგან, დაბეჭდა ფურცლები და დაგზავნა ყველა სოფლებში.

ზეიმი დაიწყო დილის 10 საათზე. ქალაქი ნაციონალურ დროშებით იყო მოწყობილი, დუქნები დაკეტილი იყო, სოც. დემოკრ. ბიუროს შემკული რევოლუციონური და ნაციონალურ დროშებით კარებში გაკეთებული, იყო ნოე კორდანიას სურათი, ცოცხალ ყვავილებში და დაფნის ფოთლებში ჩასმული.

ყველანი თავს იყრიდენ ჯერ ბიუროსთან, აქედან კი გაემართებოდენ სადგურისაკენ, სადაც ილაპარაკებდენ ზოგიერთი ორატორები, მართლაც, 11 საათზედ დაინძრა ხალხი ბიუროსკენ, ჯერ ჯარი, მას გაყვნენ მოქალაქენი. ბიუროსთან რკინის გზის მუშებს უკვე მოეყარათ თავი და წითელი დროშა ფრიალებდა, 12 საათამდის ხალხი ბიუროსთან იდგა, სადაც გაისმოდა რევოლუციონური სიმღერები, 12 საათზედ პრეზიდიუმის სახელით ხალხს და ჯარს მიესალმა ამხ. ნესტორ ბახილაშვილი და მიულოცა დიდებული დღე. მან ხაზ გასმით აღნიშნა თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიას და მის ძლიერ პარტიას სოც. დემოკრატიას. შემდეგ ამისა ხალხი დაიძრა სადგურისაკენ, აქ შეხვდენ სოფლიდგან ჩამოსულნი, რომელთაც მოულოცეს თემის კომისარი რიზა-ალი გოგიტიძე და ამხ. ხუსეინ ვოგიტიძე, ხუცუბნის სასწავლებელის მოწაფენი და მასწავლებელები. დაინახა თუ არა ხალხმა სოფლიდგან მოსულნი „ვაშას და გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით შეხვდა. შემდეგ დაიწყო მისალმებები. პირველად მიესალმა რკინის გზის მუშების სახელით ამხან. ალექსანდრე ციხლაბიძე, შემდეგ სასწავლებლების სახელით აკაკი გვახარია, რომელმაც ვრცელი სიტყვით მიმართა ხალხს, ქართველი მუსულმანთა სახელით მემედ-ეფენდი გოგიბერიძე, ქართველი მუსულმან ქალების სახელით ხანუმი მაშაკაშვილისა. შემდეგ ამისა ხალხი დაინძრა დანიშნულ ალაგისკენ სიმღერით.

4 საათზედ დაიწყო მიტინგი, პირველად ილაპარაკა ამხ. კ. ფირცხალაიშვილმა ბათუმის კომიტეტის სახელით, შემდეგ ხალბაზდა მოწვეული უსუფ ციფაძემ, რომლის სიტყვა ხალხი ყურადღებით მოისმინა. სტუდენტთა სახელით მიესალმა ქომაგაველი თდასტაკაშვილი, ქარიაძემ და შემდეგ მემედ გოგობერიძემ, მიტინგში მიიღო ზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს და ფუძნებელი კრებას. მიტინგი დაიშალა საღამოს 6 საათზედ.

აზნაური.

წერილები რედ. მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

დღემდი მე თანაუგრძნობდი ქართველოს კომუნისტურ პარტიას დღეს ნათლათ ვხედავ, რომ მოქმედება ჩვენი საშიშობლოს მთელი მშრომელთა კლასის წინააღმდეგ არის მიმართული, ამისათვის სულ ველთავად ვიცხადებ — დღეიდგან მე კომუნისტებთან არაკითარი საქმე არა მაქვს და გადავდივარ საქართველოს სოც. დემ. პარტიაში.

სანაპირო მუშების პროფესიონალური კავშირის არტელში შესვე ირაკლი ლუკას ძე კოხრიძე ქ. ბათომი 10 თებერვალი 1921 წ.

—ს—

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოსცეთ ნება განვაცხადო შემდეგი:

მე კომუნისტურ პარტიაში არ ვიმყოფები და არც მაქვს რაიმე კავშირი მასთან.

ბარნაბ მიხეილის ძე არიშიძე.

—3—

გ. რედ. გთხოვთ უმორჩილეს თქვენი გაზეთის საშუალებით გამიქვეყნოთ შემდეგი. მე, ვლადიმერ ანტონისძე გიორკაძე, ოზურგეთის მაზრის თემის მცხოვრები ვლებოდი ბოლშევიკურ ორგანიზაციის წევრთ. დღეიდან მე არ ვარ ბოლშევიკურ ორგანიზ.

ვლადიმერ ან. გიორკაძე

1921 წ. ქ. ბათომი.

რედაქტორი კ. ძავთარაძე

დაიკარგა

ვლადიმერ ბესარიონის-ძე ბურჭულაძე ატტესტატი 1917 წელს სახელოსნო სკოლაში კურსის თავრების, მიღებული 26 აპრილს 1917 წ. № 393. გაუქმდეს ლათ ჩაითვალოს. 62

დაკარგულია

სახალხო გვარდიელის უბის წიგნაკი № 11283 ბათ. შტ. 226 ეულბარ თადეისისძე ჩაგუნაკას სახელით გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულ 62 (4-

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ჟურნალზე „ცხოვრება და მეცნიერება“
ორ თვეზე 12 მან. ექვს თვეზე 24 მან. ერთ წელიწადზე 48 მან.
„ცხოვრება და მეცნიერება“ ყველაზე იაფი ჟურნალია.
ხელის მოწერა მიიღება ბათომში ქ. ბაზარზე ბიბლიოთეკა-კიოსკთან.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ჟურნალზე „ცხოვრება და მეცნიერება“
ორ თვეზე 12 მან. ექვს თვეზე 24 მან. ერთ წელიწადზე 48 მან.
„ცხოვრება და მეცნიერება“ ყველაზე იაფი ჟურნალია.
ხელის მოწერა მიიღება ბათომში ქ. ბაზარზე ბიბლიოთეკა-კიოსკთან.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ჟურნალზე „ცხოვრება და მეცნიერება“
ორ თვეზე 12 მან. ექვს თვეზე 24 მან. ერთ წელიწადზე 48 მან.
„ცხოვრება და მეცნიერება“ ყველაზე იაფი ჟურნალია.
ხელის მოწერა მიიღება ბათომში ქ. ბაზარზე ბიბლიოთეკა-კიოსკთან.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ჟურნალზე „ცხოვრება და მეცნიერება“
ორ თვეზე 12 მან. ექვს თვეზე 24 მან. ერთ წელიწადზე 48 მან.
„ცხოვრება და მეცნიერება“ ყველაზე იაფი ჟურნალია.
ხელის მოწერა მიიღება ბათომში ქ. ბაზარზე ბიბლიოთეკა-კიოსკთან.

ელექტრო ბეჭდვითი სტამბა ს. შმაევსკისა. შარაიოლოვის, ქ. №21 ბათუმი.